სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ლეილა შეროზია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.41

თანამედროვე კლასის დამრიგებლის მშობლებთან მუშაობის მეთოდიკა

აბსტრაქტი. დღევანდელ მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე უამრავი ახალი პედაგოგიური თეორიები და ინოვაციები შეიქმნა, რამაც უფრო მოქნილი და მიმზიდველი გახადა სასწავლო პროცესი; თუმცა ამას ვერ ვიტყვით აღმზრდელობითი კუთხით მიმდინარე პროცესზე: აღზრდის თეორია საერთოდ ამოღებულია უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო კურსიდან, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სახელმძღვანელო წიგნებში შეტანილი სასწავლო მასალის უმრავლესობა ზნეობრივი დატვირთვის კუთხით რამდენამდე ჩამორჩება წინა წლებში შეტანილი სასწავლო მასალის დონეს.

საკითხი აქტუალურია, შესაბამისად, ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პედაგოგიურ პროცესში აღმზრდელობითი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა, პიროვნების ფორმირების პროცესში მისი როლისა და მნიშვნელობის უკეთესად გაცნობიერება. კონკრეტულად განვიხილავთ კლასის დამრიგებლის როლსა და მნიშვნელობას როგორც სასწავლო პროცესში, ასევე მშობლებთან მუშაობის თვალსაზრისით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კლასის დამრიგებლის მშობლებთან მუშაობის რამდენიმე ასპექტზე, კონკრეტულ ფორმებსა და მეთოდებზე, რომელსაც დამრიგებელი მშობლებთან ურთიერთობების პროცესში უნდა იყენებდეს.

საკვანძო სიტყვები: კლასის დამრიგებელი, მშობლებთან მუშაობის მეთოდიკა, აღზრდის თეორია, საოჯახო აღზრდა.

---

[1] **ლეილა შეროზია,** პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

Leila Sherozia[2]
Sokhumi State university

Methodology of Working With Parents of a Modern Class Head-teacher

Abstract. In today's global educational space, many new pedagogical theories and innovations have been created based on constructivist methodology, which has made the learning process more flexible and attractive; however, the same cannot be said about the ongoing process from an educational perspective: Theory of upbringingthe has been completely removed from the curriculum of higher education institutions, and this is compounded by the fact that the majority of the educational material included in textbooks lags far behind the level of educational material included in previous years in terms of moral content.

The issue is relevant, therefore, the goal of our work is to bring the educational theme to the forefront in the pedagogical process, to better understand its role and importance in the process of personality formation. We will specifically discuss the role and importance of the class teacher both in the educational process and in terms of working with parents.

The paper focuses on several aspects of the class teacher's work with parents, on specific forms and methods that the teacher should use in the process of relations with parents.

Keywords: Class Head-teacher, Methodology of Work With Parents, Theory of Upbringing, Family Upbringing.

შესავალი. საოჯახო აღზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა მიმართულებით წარმართავს მათთან მუშაობას კლასის ხელმძღვანელი. თანამედროვე პედაგოგიკურ მეცნიერებაში აქცენტი კეთდება შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:ოჯახის შესწავლა, მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება, ბავშვთა კოლექტიურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, კლასის მშობელთა საბჭოს ხელმძღვანელობა, ინდივიდუალური მუშაობა მშობლებთან, მოსწავლეთა აღზრდა - სწავლებისა და განვითარების შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდება.

ზემოჩამოთვლილი მიმართულებები რომ წარმატებით განხორციელდეს, კლასის დამრიგებელმა აუცილებელია გამოიყენოს სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს. მაგალითად, როცა კლასის დამრიგებელი მოსწავლის ოჯახის გაცნობის კუთხით მუშაობს, იგი მიმარ-

[2] **Leila Sherozia,** Doctor of Pedagogy, Guest lecturer at Sokhumi State University.

თავს ისეთ ფორმებს და მეთოდებს, როგორიც გახლავთ: ოჯახის მონახულება, ანკეტირება, თხზულება ოჯახზე, ტესტირება და ა.შ.

მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხია ამ მიმართულებით. ყოველ პოსტსაბჭოთა სივრცეში ბევრი სისტემა არსებობდა, რომელიც ემსახურებოდა პედაგოგიური კულტურის ამაღლების საქმეს, რაც, რა თქმა უნდა, კარგი იყო. გამონაკლისი არც საქართველო გახლდათ. აქ გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა „მშობელთა უნივერსიტეტები“, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს მშობელთა „პედაგოგიზაციის“ საქმეში, თუმცა მათი ძირითადი ნაკლი იყო შინაარსის ზედმეტი პოლიტიზირება.

დისკუსია. ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს ბესტუჟევ-ლადას მიერ შემუშავებული სისტემები, რომელთა შორის აღსანიშნავია „მომავალი მშობლის უნივერიტეტი“, „მშობელთა მშობლის უნივერსიტეტი“ (მომავალი ბებიებისა და ბაბუებისთვის), „ახალგაზრდა მშობლის უნივერსიტეტი“, რომელიც მომავალ პერსპექტივაში განიხილება (Лодкина 2009).

აქედან გამომდინარე, კლასის დამრიგებელი ვალდებულია თავის სამუშაო გეგმაში შეიტანოს ლექციები პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიაში, სამართალში, ეთიკაში, ფიზიოლოგიაში და ჰიგიენაში, სადაც გათვალისწინებული იქნება ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებები და ის პრობლემები, რომელიც წარმოიქმნება მასწავლებელსა და მშობელს შორის ერთობლივი მუშაობის პროცესში. ასევე აუცილებელია მშობლებს გააცნოს პედაგოგიური ლიტერატურა, მოაწყოს კითხვა-პასუხის საღამოები, ღია კარის დღეები და ა.შ.

რაც შეეხება კლასის დამრიგებლის აქტიურ ჩართულობას კლასის კოლექტიურ საქმიანობაში - რომლის დროსაც კლასის დამრიგებელი მოსწავლეებთან ერთად იმუშავებს სამოქმედო გეგმის და მის შესაბამისად წარმართავს თავის საქმიანობას (დღესასწაულებისა და საღამოების მოწყობა, კონცერტებზე, თეატრალურ სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება,ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება და ა.შ.) (ამონაშვილი 1998).

კლასის დამრიგებელი ასევე ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს კლასის მშობელთა საბჭოს საქმიანობაში, რომელიც აისახება ისეთ ფორმებში, როგორიც გახლავთ: მშობელთა საბჭოს არჩევნები, მის ორგანიზებასა და დაგეგმვაში დახმარების გაწევა, სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მუშაობა, გარემომცველ სოციუმთან კავშირის დამყარება და სხვა.

ეფექტურ შედეგს იძლევა კლასის დამრიგებლის მუშაობა მშობლებთან ინდივიდუალურად, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ მან კავშირი დაამყაროს ოჯახის თითოეულ წევრთან, რაც საბოლოოდ მას მისცემს შესაძლებლობას უფრო მეტი გაიგოს ბავშვის პიროვნებაზე. ამიტომ იგი თავის სამუშაო გეგმაში რთავს ისეთ საკითხებს, როგორიც გახლავთ - ინდივიდუალური

საუბარი მშობლებთან, კონსულტაციები, ინდივიდუალური სამუშაოები, კონ-კრეტულ მოსწავლეზე მორგებული აქტივობები და ა.შ.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, როცა კლასის დამრიგებელი აცნობს მშობლებს მოსწავლეთა აღზრდის, განვითარებისა და სწავლების შესახებ შედეგებს. ამ შემთხვევაში კლასის დამრიგებელი იწვევს მშობელთა კრებებს, ასევე აწარმოებს მოსწავლეთა დღიურების შემოწმებას, მიმართავს ბავშვთა განვითარების შესახებ ბარათების შედგენას, უგზავნის მშობლებს წერილ-დახასიათებას, ბარათ-უწყებებს და ა.შ.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კლასის დამრიგებელი სისტემატურად უნდა მუშაობდეს არა მარტო მშობლებთან, არამედ ყველა იმათთან, ვინც მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში (ბებიები, ბაბუები, მამიდები დეიდები და ა.შ.) ანუ მან კარგად უნდა შეისწავლოს ოჯახური ატმოსფერო, რომელშიც იგულისხმება ოჯახის წევრთა შორის ურთიერთდამოკიდებულება (მეგობრული ტონი სუფევს თუ დამოკიდებულება წიააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს, რა არის ოჯახური აღზრდის მიზანი და პრიორიტეტი, როგორი შეთანხმებით მოქმედებენ ისინი ბავშვის აღზრდისას, როგორი დამოკიდებულება აქვთ სკოლის მიმართ და სხვა).

ზემოაღნიშნული მიმართულებები რომ სირთულეში მოიყვანოს, კლასის დამრიგებელი იყენებს საუბრისა და დაკვირვების მეთოდს სანამ ამ მეთოდების გამოყენებას დაიწყებს, წინასწარ იმუშავებს გეგმას. საუბრის მსვლელობისას იგი ყურადრებას ამახვილებს ე.წ. ოპერატიულ-კორექტირებად მეთოდზე, რომელშიც იგულისხმება საოჯახო აღზრდასთან დაკავშირებული წინასწარი კვლევების გამოცდილება, რომელიც სხვა მეთოდების დახმარებით გაკეთდა.

მოსწავლეთა მშობლებთან საუბრის დროს სასურველია, თუ მასწავლებელმა გამოიყენა ე.წ. „ემფატიკური მოსმენის მეთოდი“ (კ. როჯერსი, თ. გორდონი), რომლის არსი მდგომარეობს დამაინტერესებელი საუბრის ატმოსფეროს შექმნაში, მათ ერთობლივად უნდა ეძებონ ჭეშმარიტება და არ უნდა ამტკიცონ საკუთარი აზრის უდავობა. ემფატიკური საუბრის დროს აუცილებელია მასწავლებელმა ყურადღება მიაქციოს თანამოსაუბრის სიტყვებსა და ინტონაციებს, ასევე მნიშვნელოვანია ჟესტიკულაციასა და მიმიკაზე ყურადღების მიქცევა, რადგან მოსაუბრის სახის ცვლილებების მიხედვით შესაძლებელია მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მსჯელობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საუბრის მეთოდის გამოყენებისას მშობლები უნდა გრძნობდნენ, რომ მას სხვა მიზანი არ გააჩნია, გარდა დახმარების აღმოჩენისა, რაც რა თქმა უნდა, ნდობის დამყარებას უწყობს ხელს (ბოჭორიშვილი 2018).

ასევე მნიშვნელოვანია დაკვირვების მეთოდის გამოყენება კლასის დამრიგებლების მიერ. ამისთვის კი აუცილებელია, რომ მან წინასწარ განსაზღვროს, თუ რა მიზნით მიდის იგი მოსწავლის მშობელთან ოჯახში. ამ დროს

დაკვირვებული მასწავლებლისთვის თვალში საცემია მშობლისა და მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებანი, რომელზე დაყრდნობით შეიძლება ვიმსჯელოთ მათი ურთიერთობის ემოციურ მხარეზე, ასევე მათი ურთიერთობის კულტურის დონეზე. კლასის დამრიგებელი გარეგანი დაკვირვების გარდა, იყენებს აგრეთვე ჩართულ დაკვირვებასაც. ამისთვის კი სპეციალური სიტუაციების შექმნაა საჭირო, ისეთების, როგორიცაა: ერთობლივი დასვენება და შრომა. როგორც ცნობილია, არაფორმალურ გარემოში უფროსებიც და ბავშვებიც განსხვავებულ ჩვევებს ავლენენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მშობელთა კრებები, როგორც მშობლებთან მუშაობის ყველაზე პოპულარული და ეფექტური ფორმა. თავისი მიზნებიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, კრებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: შეკრება საუბრები, შეკრება-კონსულტაციები, შეკრება-დისპუტები, კომბინირებული შეკრებები და ა.შ.

დიდი მნიშვნელობა აქვს კრების ეტაპების ლოგიკას. კლასის დამრიგებელმა წინასწარ უნდა გააცნოს მშობლებს კრების მიზანი და ამოცანები მშობელთა კრების ისეთი ფორმები, როგორიცაა ლექცია, საუბარი, დისპუტები, შეხვედრა სპეციალისტებთან სასურველია მოხდეს წლის პირველ ნახევარში, ხოლო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ანალიზი - მეორე ნახევარში. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ლექცია მოხსენებებს შედარებით მცირე დრო უნდა დაეთმოს, რათა არ გადაიღალონ მშობლები... ლექცია მაშინ იძენს ინტერესს, როცა თეორიული ცოდნის გადმოცემა ხდება კონკრეტული ოჯახების ცხოვრებიდან. იმ შემთხვევაში, როცა გვსურს გამოვიტანოთ ნეგატიური ეპიზოდები ოჯახური ცხოვრებიდან, მაშინ მშობელთა სახელისა და გვარის დასახელება კატეგორიულად არ შეიძლება, ხოლო როცა გვსურს დადებითი ეპიზოდები გავაცნოთ მსმენელებს, მაშინ შეიძლება მშობლები მოვიხსენიოთ სახელითა და გვარით მშობლების თანხმობის გარეშე.

სამწუხაროდ, კლასის დამრიგებელს ხშირად უხდება მუშაობა ისეთ ოჯახებთან, სადაც ხშირია კონფლიქტური სიტუაციები, რაც გამოწვეულია სხვადასხვა პირობებით: მოუწყობელი საყოფაცხოვრებო მდგომარეობა, მატერიალური სიძნელეები, ბავნე ჩვევები და მიდრეკილებები და ა.შ. როცა ურთიერთობის კულტურა დაბალია და მხარეებს უჭირთ კომპრომისის გამონახვა, პროცესი კონტროლიდან გამოდის და დამანგრეველ ხასიათს იძენს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება ბავშვზე. აქ უკვე გადამწყვეტ სიტყვას ამბობს სოციალური პედაგოგი, რომელიც ფლობს კონფლიქტოლოგიის საფუძვლებს.

ასევე კლასის დამრიგებელი მუდმივ კავშირში იმყოფება სკოლის ფსიქოლოგთან, რომელსაც ევალება ბავშვის უნარებისა და ინტერესების დიაგნოსტიკა, მათი ინდივიდუალური განვითარების პროგნოზირება, ფსიქოთერაპევტული და ფსიქოკორექციული დახმარების აღმოჩენა.

როგორც დავინახეთ, კლასის დამრიგებელი სოციალურ პედაგოგთან და სკოლის ფსიქოლოგთან ერთად ზრუნავს ბავშვის უკეთ შეცნობისათვის საბავშვო ბაღიდან დაწყებული, ვიდრე სკოლის დამთავრებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

ამონაშვილი (1998) შალვა ამონაშვილი. ცხოვრების სკოლა, თბილისი;

ბოჭორიშვილი (2018) მანანა ბოჭორიშვილი. კლას-კომპლექტში სწავლება, მეთოდური რეკომენდაცია, თბილისი;

ქორიძე (2019) ქორიძე თ. კლასის დამრიგებელი გაზეთი „ახალი განათლე-ბა“, თბილისი;

Лодкина (2009) Лодкина Т. Педагогическое исследование семейных норм и родительской психологии, Москва, 4-е издание, Москва, Издательство Центр «Академия»,